ᲙᲐᲡᲞᲔᲠᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

№ 17 (249) ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-14 ᲬᲔᲚᲘ

1970 ᲬᲚᲘᲡ 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

ᲙᲐᲡᲞᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲔᲑᲘ

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲛᲘᲓᲐᲜ

მზის რთველია, განა ვაზის?
ბადაგია?
ჰაერია?
თითქო მზეში მუშკ ავაზის
სურნელება გაერია.
ვინ ჩაადნო ლალში ბროლი,
ან ალმასი ვინ ათალა?
ან ოცნება ცათასწორი
ვინ აქცია წინანდალად?
ან ამ ზეცას სად ჰყავს ცალი,
ან მიწა ვინ ახავერდა,
ანუ აზრი საოცარი
ვინ ასტყორცნა ალავერდად?
ან ეს მთები ვინ მიბნიდა,
რომ დამდგარან თეთრჩენილად;
გაუვლია სილამაზეს
და მუდმივ აქ ღარჩენილა!
ჩარჩენილა ყოველ ყლორტში,
მღერის ყველა საწნახელში;
ელვარებით, მღუღარებით,
განიერი თვალის ეშხით.
ბედის ქარტა დახეული
აქ მოდით და შეაწებეთ,
ვის გაქვთ ტკბილი დამხსნარეული,
განკურნება აქ ეძებეთ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

რთველი დაიწყო...

მტევნებით დამძიმებული ვაზი ავ თვალს არ ენახვება. ამ გლეხის მზერა კი სიტკბოს მატებს ისედაც თაფლად ქცეულ ზვრებს. გასცქერის და უხარია, ნაამაგარი რომ ასე დაუფასდა, ერთი ორად იქცა. ის კი არა, ცოტათი შეშინდა კიდეც — ეს დალოცვილი სად წავიღო, რაში დავტიოო... და ქვევრიც იმდენი მოიმარაგა, წინათ რომ მთელ სოფელს ეყოფოდა.

ახლა დამშვიდებულა, დიდი საქმის წინ ერთი წუთით ჩაუმუხლავს. ხვალ უთენია გადააბიჯებს ღობეს, თვალსა და ხელშუა აავსებს პირველ გოდორს, შემდეგ დაილოცება — ეს ერთი და სხვა ათასიო და რთველიც დაწყებულად გამოცხადდება. შარაგზაზე ერთმანეთს აეკიდებიან ყურძნით დატვირთული მანქანები, ურმები, ურიკები... ჰაერში მაჭრის სუნი დატრიალდება. უქმად ვერავის ნახავ, მაგრამ ვერც საქმით ძალწართმეულს შეხვდები. დიდი თუ პატარა ზვრებშია „დასახლებული“. მიზანი ერთია — სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა — მოკრიფონ 340 ათასი ტონა ყურძენი — საქმედ აქციონ.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი კახელებს ევალებათ. აქ ახლა ვერ ნახავთ სოფელს, დიდ მოსავალს რომ არ ელოდებოდეს. მაგალითად, ვაზისუბნელი კოლმეურნეები წლეულს დაგეგმილი 3500 ტონის ნაცვლად, 5000 ტონა ყურძნის მიღებას ფიქრობენ, თელაველი მევენახეები კი პირობას იძლევიან, 38 ათასის ნაცვლად სამშობლოს 45 ათას ტონა ყურძენს ჩავაბარებთო.


სიონაღელებმა, რომლებმაც ყველაზე ადრე დაიწყეს რთველი, უკვე ასობით ტონა ყურძენი დაკრიფეს ტიბაანის, ძველი ანაგისა და ხირსის ზვრებში.


რთველი დაიწყო. კიდევ ცოტა და ყველა მტევანი ღვინოდ ჩაიწურება, შემდეგ კი შრომას ლხინი შეცვლის, ერთი კაცისა კი არა, მთელი სოფლისა, მთელი ამერ-იმერისა... გადაისდიან ქორწილებს, ძეობას, დაოცავენ უხვ მოსავალს, ვაზს, მის დამრგველსა და ყურძნის დამწურავს...



სექტემბრის ზარი







ხელში წიგნები და ყვავილები უჭირავთ, სახეზე ღიმილი დასთამაშებთ. კი არ მიდიან, მიფრინავენ, ჩქარობენ მშობლიურ სკოლასთან შეხვედრას.

შეკითხვებს ბოლო არ უჩანს:

— სად ისვენებდი?

— როგორ გაშავებულხარ!

— როგორა ხარ, მაია, მანანა, გია, თამუნა, ზურა? პასუხად — კარგად, ძალიან კარგად...

ამ დღეს ყველაზე მკაცრ პედაგოგსაც კი ღიმილი უწნდება სახეზე. აღმზრდელიც აღსაზრდელივით ღელავს. სალამი, ბავშვებო, უნდა უთხრას, საკლასო ოთახში შესვლისას კი, მათთან შეხვედრას დანატრებული, სალამი, შვილებო, ეუბნება და... პირველი გაკვეთილიც იწყება.

...ამ სკოლაში სექტემბრის ზარი წლეულს ას სამოცდამეცხრედ აწკრიალდა. თავდაპირველად კეთილშობილთა სასწავლებელი ერქვა, შემდეგ თბილისის პირველ გიმნაზიად გადაკეთდა, ახლა თბილისის I საშუალო სკოლა ეწოდება.

— როგორ მოემზადეთ ახალი სასწავლო წლისათვის? — მივმართავთ ტრადიციული კითხვით თბილისის უპირველესი სკოლის დირექტორს ნიკოლოზ კიკვაძეს.

— სჯობია ყოველივე თქვენი თვალით ნახოთ. სულ მალე პირველი გაკვეთილი დამთავრდება, დაიარეთ საკლასო ოთახები, კაბინეტები, ესაუბრეთ პედაგოგებს და აღსაზრდელებს, — გვირჩევს მასპინძელი.

...ზარი ათ წუთში დაირეკება, მანამდის კი დირექტორისაგან რამდენიმე საინტერესო ცნობას ვიღებთ: ახლა სკოლაში 1.400 ბავშვი სწავლობს, მათ აღზრდაზე 102 პედაგოგი ზრუნავს. წლევანდელი სასწავლო წლიდან სკოლა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადავიდა. ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი სასწავლებლების მსგავსად, ყველა გაკვეთილი საგნობრივ კაბინეტებში მიეწყობა...

ზარიც დაირეკა. დირექტორის კაბინეტიდან გამოსულებმა მზერა მემორიალურ დაფაზე შევაჩერეთ.

— ამ სკოლაში სწავლობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კოტე მარჯანიშვილი... ვკბობსულობთ ხმამაღლა.

სია სრული არ არის, — გვისხსნის დირექტორი. სულ მალე ამ ადგილას ახალ მემორიალურ დაფას გავაკეთებთ, მას რამდენიმე დიდი ქართველის სახელი და გვარი შეემატება. ისეთი მემორიალური დაფის გაკეთებასაც ვაპირებთ, ერის საამაყო შვილების აღმზრდელთა სახელი და გვარები რომ იქნება ამოკვეთილი. შეუძლებელია დიდი მოკრძალებით არ მოვიხსენიოთ პედაგოგები: სოლომონ დოდაშვილი, შიო ჩიტაძე, ივანე ნიჟარაძე, ვარლამ თოფურია, არჩილ ბაქრაძე, დავით დონდუა, ათანასე ხარაბაძე, ვასო აბდუშელიშვილი, ილია სიხარულიძე, მიხეილ ზანდუკელი, ჯაჯუ ჯორჯიკია, ანტონ მუჯირი, ნიკოლოზ ჯაფარიძე, ირაკლი ბეროზაშვილი, ილია შტეინბერგი, ბაბო მჭედლიძე...

სკოლის ნათელ ოთახებში სანიმუშო სისუფთავეა. ისინი ბავშვებით, ყვავილებითა და მზით ავსებულან.

პირველი, ვისაც ვეცნობით, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შალვა გიგაშვილია.

— როგორ ფიქრობთ, ახლა, როდესაც ადამიანი ასე გაბედულად ლაშქრავს კოსმოსს, ფილოლოგიური მეცნიერებისადმი ინტერესი ხომ არ შენელებულა?

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სკოლის მაგალითზე ეს არ იგრძნობა, — ამბობს ბატონი შალვა, — ბავშვების საკმაოდ დიდი ნაწილი თავის მომავალს სწორედ ქართული ენისა და ლიტერატურის სრულყოფილად შესწავლას უკავშირებს, უმაღლეს სასწავლებელში ამ განხრით აბარებს მისვლას გამოცდებს.

ფიზიკის კაბინეტი. მას 4 დიდი ოთახი უჭირავს. კაბინეტი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში. პედაგოგების შთა აბაიშვილისა და დავით გვალიას დამსახურებაა, რომ ამ სკოლის აღსაზრდელებმა აღნიშნული საგანი საუცხოოდ იციან.

ის, რომ პირველ სკოლადამთავრებულებს ქიმიის დიდი სიყვარული დაჰყოლიათ, „ვარდო“ მასწავლებელს უნდა უმადლოდნენ. წელთა სიმრავლემ ვერაფერი დააკლო რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს, ლენინის ორდენით მკერდდამშვენებულ აღმზრდელს ნინო ვარდიაშვილს. მის გაკვეთილზე კვლავინდებურად რაღაც განსხვავებული სიჩუმე სუფევს, შინ გაკვეთილის მომზადებასაც აღსაზრდელები ტრადიციისამებრ ქიმიით იწყებენ...

დიდი ინტერესით ვათვალიერებთ ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტს. კინოპარატი, ეპიდიასკოპი, დიაპროექტორი, კოდოსკოპი... ყველა რომ ჩამოთვალო, შეიძლება ენაც მოიტეხო, ნორჩები კი თითოეულ მათგანს ისე შეეჩვივნენ, ვერც წარმოუდგენიათ მათ გარეშე სწავლა.

იწყება მეორე გაკვეთილი. სკოლაში კვლავ სიჩუმე ისადგურებს. დირექტორის კაბინეტში ვბრუნდებით. ვსაუბრობთ. მასპინძელი კიდევ რამდენსამე საინტერესო ცნობას გვაწვდის. აი ზოგიერთი მათგანი:

სკოლასთან არსებულ მუსიკალურ ათწლედში ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას 400 ბავშვი სწავლობს. ყოველ წელიწადს, თეატრის დღეს, როგორც წესი, სკოლაში მსახიობთა დიდი ჯგუფი იკრიბება, რადგანაც სწორედ აქ, ამ შენობის კედლებში 120 წლის წინათ დაირწა განახლებული ქართული თეატრის აკვანი. სკოლას ხშირად ესტუმრებიან ყოფილი მოსწავლეები, რომ კიდევ ერთხელ გაიხარონ ბავშვობის მოგონებით, მადლობა უთხრან საყვარელ აღმზრდელებს...

კმაყოფილი ვტოვებ სკოლას. თუმცა ცოტა ხინჯიც გამომყვა — ვერავის ვესაუბრე სკოლის დირექტორის ყოველდღიურ საქმიანობაზე, იმ ამაგზე, რომლის გაღებაც ამ კაცმა 17 წლის მანძილზე შეძლო. და აი, როდესაც ბატონი ნიკოლოზისაგან ორიოდე დღით ნათხოვნი წიგნი „თბილისის პირველი სკოლის იუბილე“, გადავშალე, გულზე მომეშვა. ღვაწლმოსილ პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილ მასწავლებელს ბაბო მჭედლიძეს სკოლის დირექტორისათვის ნაწუქარ ამ წიგნზე ასეთი წარწერა გაუკეთებია: „ვუძღვნი პირველი სკოლის ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელს პატივცემულ ნიკოლოზ კიკვაძეს.. ბაბო მჭედლიძე“.

დიახ, ტრადიცია, რომელსაც საუკუნეებში აქვს ფესვები გადგმული, გრძელდება. წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ძლიერად გუგუნებს სექტემბრის ზარი. გრძნობ ყოველივე ამას და აღარ გიკვირს, საიდან აქვს მას ასეთი დიდი ძალა, მთელ ქალაქს რომ აღვიძებს, ნორჩთა ჟივილ-ხივილი ეზოებიდან ქუჩაში რომ გამოაქვს და თბილისთან ერთად მთელ საქართველოს ედება.

რევაზ მაჭავარიანი



მჭედელი

სულ ორიოდე მჭედელს ვიცნობ. რა თქმა უნდა, გარეგნობით სხვადასხვანი არიან, მაგრამ ხასიათში ბევრი აქვთ საერთო — ვაჟკაცობა, კეთილშობილება, საკუთარი პროფესიის პატივისცემა.

...სამჭედლო საამქრო. იგი ერთ-ერთი უდიდესია თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

აჭაურობას თვალიც უცხოობს და ყურიც. ლუმელიდან საკმაოდ შორსა ვარ, მაგრამ მაღალი, მწველი სიცხე სულში მეჭიდება თითქოსდა ხახის კანს მიწვავს.

მერე თანდათანობით „ვშინაურდები“, თან ვფიქრობ: მჭედელი! — ეს უბრალო და მრავლისმთქმელი სიტყვა უხსოვარდროინდელია. მჭედელს სოფელში თუ ქალაქად უველა მოწიწებით ექცეოდა, სიტყვა მჭედლიდან წარმომდგარი გვარი უველაზე გავრცელებულია მსოფლიოში...

...იგი გაზის ღუმელიდან რკინის ვეება, გავარვარებულ ზოდს იღებს. შემდეგ სპეციალური ამწის საშუალებით ზღაპრული სიდიდის მექანიკური უროს დაზგაზე დებს და რკინის მარწუხმომარჯვებული თავის საქმეს იწყებს. გახურებულ რკინას გულდაგულ ეჭიდება.

საშუალო ტანისა, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, შუახნის კაცის შეხედულებას ტოვებს. ულვაში ვიწროდ აქვს შეკრეჭილი, ხელები — დაკუნთული და ძარღვიანი.

და ჭედს დეტალებს ოსტატი. ერთი თვალის გადავლებით ცნობენ ილურიძის ნახელავს. მის მარჯვენას შეუძლია სული შთაბეროს უსულო ლითონს, საქმე მიუჩინოს, აამოძრაოს და ხალხის სამსახურში ჩააყენოს.

ქარხანა ერთსაათიანი „ამოსუნთქვისათვის“ მოემზადა. ოსტატს მივუახლოვდი.

— მაპატიეთ, თუ შეიძლება, თქვენი გაცნობა მინდა.

გაიღიმა და ხელი გამომიწოდა — კონსტანტინე ილურიძე.

— ბატონო კონსტანტინე, დიდი ხანია ამ საქმეს ემსახურებით?

— თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ასაკიდან. მშობლიურ სოფელში ჩემს მოგვარესთან, ჭიტესა ილურიძესთან ვიყავი შეგირდად. დიდი სახელი ჰქონდა ჭიტესას. ახლომახლო სოფლების გლეხობას მხოლოდ მისი მარჯვენისა სწამდა.

— ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში როგორღა მოხვდით?

— ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, — სიტყვა გამისწორა მჭედელმა. — ასე ერქვა ამ საწარმოს მრავალი ათეული წლის განმავლობაში. დრომ და საჭიროებამ მოიტანა და სახელი შეეცვალა, რა თქმა უნდა საქმეც გადასხვაფერდა იმდენად, რამდენადაც ელმავალი ორთქლმავლისაგან განსხვავდება. აქ ორმოცი წლის წინათ მოვედი. პროფესია უკვე მქონდა და ქარხანასაც მჭედელი სჭირდებოდა. ოცი წლისა ვიყავი მაშინ, ცოლი ახლად შერთული მყავდა და „ცხოვრებას ვეჭიდებოდი“.

— როგორია თქვენი „ანგარიში“ ცხოვრებასთან?

— მყავს შვილები, შვილიშვილებიც. მომავალში, ალბათ, კიდევ უფრო გავმრავლდებით ილურიძეები. ცხოვრება მართლაც რომ კარგი რამ არის და როდესაც მისი ფასი იცი, თითოეული წუთი სიხარულს განიჭებს.

— და მაინც თქვენი ცხოვრების რომელი წუთები დაგახსომდათ?

— ძალიან ბევრი. უველაფერი კვლავ შვილებთან, შვილიშვილებთან და ქარხანასთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით დამახსომდა ის დღე, როდესაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. არასდროს დამავიწყდება წლევანდელი 18 იანვარი — რკინიგზელთა სახლში მეგობრებმა და ახლობლებმა დაბადების 60, ხოლო ქარხანაში მუშაობის 40 წლის იუბილე რომ გადამიხადეს.

ჯემალ ქურხული

სურათებზე: ზევიდან — თბილისის პირველი სკოლის ეზოში, ილიასა და აკაკის ძეგლთან; მემორიალურ დაფასთან; ფიზიკის გაკვეთილზე.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო



• • •

ირაკლი ოჩიაურის სახელი დიდი ხანია გასცდა საშინაო ბლოს საზღვრებს. იგი ახალგაზრდა შემოქმედთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ორმოცდაათიან წლებში მოვიდა ქართულ ხელოვნებაში და სულ მალე ღრმა კვალი დაამჩნია რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებას. ირაკლი ოჩიაური ახალი ქართული ჰედურობის ერთ-ერთი მთავარი წამომწყები და პირველთაგანია, ვინც თამამად მოჰკიდა ხელი ქართული ხელოვნების ამ ძველთაძველი დარგის განახლებას. ჰედურ შემოქმედებით ნაშუშევრებში ირაკლი ოჩიაური წარმოგვიდგება როგორც ორიგინალური, გაბედული მხატვარი, რომელიც მუდმივ ძიებაშია. თითოეული მისი ქმნილება შორდება ჰედურობის ფარგლებს და ისეთ ელემენტებს ავლენს, რომლებიც დამახასიათებელია გრაფიკისა და ფერწერისათვის.

მკითხველს ვთავაზობთ ჟურნალისტ ნანა ღვინეფაძის ჩანახატს ამ შესანიშნავ შემოქმედზე.



„ჯირსი ოქრომქანდაკებელი...“

რაც ტალავარში გამოწყობილი პატარა ბიჭი ხევსურ მთქმელებსა და მალექსარებს უსმენდა, პოეტობაზე ოცნებობდა...

როცა ფშავ-ხევსურულ სავარძლებსა და ტაგრუცებზე ამოკვეთილ რჭამარწუხა ვერძებს, მზესა და მზეკაცებს ხედავდა, მეჩუქურთმეობა იტაცებდა...

დღეს რომ შეესწრებოდა, ლამაზ ცხენსა და მამაც მხედრობაზე ოცნება ყველა ნატვრას ჩრდილავდა...

...მერე ჭაბუკმა ერთხელ, ორჯერ და სამჯერაც ხეში გამოკვეთა ყველა ეს ნატვრა და მიხვდა, რომ ეს იყო მისი ლექსი და ასე იწყებოდა მისი მარუხა.

ახლა ლითონში კვეთს ნაფიქრს და განცდილს, მოგონებასაც და აწმყოსაც.

ირაკლი ოჩიაურის „ბიჭი და ხარი“ რომ ვნახე, ასე მომეჩვენა: თითქოს თვითონ მას ჩაეძინა, ჩაეძინა და დაესიზმრა ბავშვობა და წიქარა... საოცარი სითბო, ადამიანური დამოკიდებულება იგრძნობა ჩაძინებულ ბიჭუნასა და ღონიერ ხარს შორის, რომელიც თითქოს კიდევ უფრო გაზრდილა და გაღონიერებულა პატარა ბიჭის სიზმარში.

ჰიპერბოლური ხედვისა და აზროვნების ნიჭი ირაკლი ოჩიაურს ფშავ-ხევსურეთის მთებიდან ჩამოჰყვა, მთებიდან, სადაც დაუშრეტელ მდინარედ მოედინება ხალხური პოეზია და რომლის ერთ-ერთი შენაკადი მამამისის, პატარა ხევსურად მონათლულ ალექსი ოჩიაურის შემოქმედებაც არის. ხევსურ მოამბეებსა და მათქვამ-მალექსართა შორის არაბულ-ჭინჭარაულებთან ერთად ეს გვარიც ჭარბობს. ამიტომაც გაათკეცებულა ირაკლის სიყვარული ხევსურული პოეზიისადმი, რომელმაც შეგვინახა უბადლო ბალადა „მოყმისა და ვეფხვისა“ და კიდევ რამდენი საგმირო, სამონადირო თუ სატრფიალო ლექს-ჩუქურთმა.

ირაკლის შემოქმედებაშიც პოეტობს გამოძახილს ეს საგმირო მონადირული პოეზია და ამის ცხადი მაგალითია ადრე თაბაშირში ნაგადი, ახლა კი ლითონის ენაზე ამეტყველებული „მოყმე და ვეფხვი“ — პლასტიკურობით, დრამატიზმით აღბეჭდილი მოზრდილი რელიეფური ქანდაკება, რომელსაც ავტორმა ფონად გაუგო თვით სტრიქონები ბალადისა, „იავნანასავით“ რომ შესისხლხორცებია მის სულს.

„ჩემი ხევსურეთი“ დაარქვა შემოქმედმა ერთ-ერთ ახალ სიუჟეტურ კომპოზიციას, რომელიც მისთვის უსაყვარლეს ნაწარმოებად იქცა. ვისაც ბავშვობაში დაბრუნებაა ერთგვარად, ბავშვობაში დაბრუნებას კი მუდამ თან სდევს ტკივილ-სიამე და ოდნავ სიზმრული განწყობილება. სწორედ ასეთია ფერისა და კომპოზიციის მხრივ „ჩემი ხევსურეთიც“, რომელშიც ბალადისებურად არის გააზრებული მთის ასეთი ფართო ასპარეზი მიეცემოდა, რომ მოქანდაკე არ დასჯერდებოდა ვერცხლის მცირე ფირფიტებში გამოთქმულ ფიქრებსა და სპილენძის, თითბრის, ალუმინის, მელქიორის მოზრდილ ფურცლებზე დაიწყებდა კვერვას. თანდათან ცხადი გახდა, რომ ირაკლი ოჩიაურის თვალგაცობით აღორძინდა და განახლდა ის ძველისძველი და თავისთავადი ხელოვნება, რომელსაც ოქრომჭანდაკებლობა უწოდეს ჩვენმა წინაპრებმა და რომელსაც ოქროს ხანა XII საუკუნეში ბეჭა და ბეშქენ ოპიზართა მარჯვენის წყალობით დაუდგა. მომდევნო საუკუნეებში ოქრომჭანდაკებლობამ თანდათან მიიძინა.

დღეს ასეთი გამოთქმა შედარებით პირობითად გვეჩვენება. მას შეენაცვლა ჰედური ქანდაკება, ლითონმჭანდაკებლობა, მაგრამ რაკი ხელოვნების ეს სახეობა წინაპართა კვალობაზე აღდგა, ნურც ძველ ზედსართს დავუკარგავთ.

რაკი მიძინებული ხელოვნება აღორძინდა, მას სათქმელიც შეემატა, ახალი შინაარსი შეიძინა. იხვეწებოდა ტექნიკური მხარე — დეკორატიულობა და პლასტიკა ეხმატკბილებოდა ერთურთს და იკვეთებოდა მკაფიო ეროვნული ხასიათი, რომლითაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი ქართულმა ჰედურობამ. სკულპტურულობა მაინც მთავარია ირაკლი ოჩიაურისათვის. იგი ნაცადი მოქანდაკეა, მაგრამ ფერმწერის ალღო და გრაფიკოსის ლაკონიურობაც არ აკლია. ამის წყალობით ამაღლდა იგი ფსიქოლოგიურ პორტრეტამდე, კერძოდ „ფიროსმანამდე“, რომლის თვალებში მთელი სამყაროს ტკივილ-სინანული ჩამდგარა; ამის წყალობით არის, რომ მისი საერთო სატრელიეფები ხან ნაქანდაკევი ფორმებით გხიბლავთ („ქალი დაირით“, „თამარ მეფე“, „ხევსური გოგონა“, „ცხენები“, „რთველი“), ხან კი ფრესკული იერი დაკარგავთ („ფიროსმანი“, „თბილისის შემოდგომა“, „იაკობ ცურტაველი“). ბოლო ნამუშევრებს სპილენძის ჭანგისებური შეფერილობა არქაულ იერს ანიჭებს და ეს ბინდისფერი განსაკუთრებით შეენის ქართველ მეფე-სწავლულთა იმ თორმეტ ჰედურ ფრესკას, წინასწარმეტყველთა გამოსახულებას რომ მოგაგონებთ და ქართული ენციკლოპედიის სახლის ფოიეში რომ დამკვიდრდნენ.

ირაკლი ოჩიაურის ნაჭედ რელიეფურ ქანდაკებებს ლეიტმოტივად გასდევს ქართული ცეკვების რიტმი, რაც ასე ჩინებულად გამოიხატა კომპოზიციებში „სამაია“, „ხორუმი“, „შენ ხარ ვენახი“.

კვლავ მზის კულტი იგრძნობა „ვეფხვებში“, „ბედნიერებაში“ (ქორწინების სახლის სერიიდან) „ქალვაჟის მავედრებელ კომპოზიციაში“ და „აღმოხდების მზეში“... მზიანობის განწყობილება სდევს მზისფერ მზექალათა თითბერსა და სპილენძზე ნაჭედ ხატებს.

ჯემოქმედს უყვარს გარინდება, თავის მზექალებსა და მინდიებს შორის ჯდომა; ამ დროს იგი სავსეა ფიქრითა და პოეზიით — მისი სათაყვანო ხევსურული პოეზიით, რომლის საუკეთესო ნიმუშები ზეპირად იცის და რომლის ყოველ სტრიქონს, ნატრალს თუ ღიმღიანს, სულის ფსკერამდე გრძნობს და განიცდის. ამ დროს იგი ხედავს ვაჟა-ფშაველას, რომლის ქანდაკიც არაერთხელ შეუქმნია; ახლახანაც გამოაქანდაკა მგოსნის თავი, ძალღონიერი, ფიქრიანი (ეს სკულპტურული პორტრეტი მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეამ შეიძინა). ხედავს არსაკიძეს, რომელმაც შექმნა ხელთუქმნელი სვეტიცხოველი... და მერე, ყველა ეს ფიქრი და შეხვედრა ახალ ქმნილებად გვევლინება და ზოგჯერ ემსაგვსება კიდეც მას, როგორც მისი ფიქრიანი „მწყემსი“ ან „ახალგაზრდობა“...


„ღირსი ოქრომქანდაკებელი“, ასე იხსენიებს მატიანე ბეჭა ოპიზარს.


ამავე სიტყვებით გამოთავრებთ ეტიუდს ირაკლი ოჩიაურზე...

ნანა ღვინეფაძე









სურათებზე: ზევით — „ბედნიერება“ (ქორწინების სახლის სერიიდან); ირაკლი ოჩიაური თავის ქმნილებასთან „ქალი დაირით“; ქვევით — „ვეფხვები“, „ვაჟა-ფშაველა“, „ბიჭი და ხარი“, „თამარ მეფე“.

ედუარდ ბიბილაშვილის ფოტო

ახალი თეატრალური სეზონი

შაბათს, 10 სექტემბერს, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა შოთა მილორავასა და ლევან ჭუბაბრიას ოპერეტით „სიმღერა თბილისზე“ გახსნა თავისი 44-ე სეზონი.

როგორია თეატრის უახლოესი გეგმები? ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თეატრის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს პაპაჰი შანიძეს.

— თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი გაცხოველებით ემზადება ახალი პრემიერისათვის. სულ მალე წარმოვადგენთ ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის პირველ ოპერეტას „ცოლები და ქმრები“ („ოჯახური კაპრიჩიო“), პიესის ავტორია რიმა ლეზგიშვილი. განზრახულია განვახორციელოთ დადგმა იმრე კალმანის უკვდავი კლასიკური ოპერეტისა „მარიცა“. კომპოზიტორმა ლილი იაშვილმა და დრამატურგმა ვახტანგ გოგოლაშვილმა ქართული ხალხური ზღაპრების მოტივებზე შექმნეს ოპერეტა „ირმისა“. ლილი იაშვილმა ერთხელ უკვე გაახარა ჩვენი პატარები შესანიშნავი ოპერეტით „ბაბაჯანას ქოშები“. ვფიქრობთ, ნორჩები ამჯერადაც კმაყოფილი დარჩებიან. კომპოზიტორ კოლ პორტერის ეგრეთ წოდებულ მიუზიკლს „მაკოცე, ლამაზო“, რომელიც შექმნილია უილიამ შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულების“ მიხედვით, წარმოვადგენთ სეზონის მეორე ნახევარში.

უახლოეს დღეებში თეატრის სამხატვრო საბჭო მოისმენს კომპოზიტორ შოთა მილორავასა და დრამატურგ ხუნწარიას ახალ ნაწარმოებს — „ბოდიში, კომისარო“.

წლევანდელი სეზონი იმითაც იქნება აღსანიშნავი, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბავშვო რეპერტუარის შექმნა-დახვეწას. ამ მიმართულებით ინტენსიური საქმიანობაა გაჩაღებული ახალგაზრდა თაობის ცხოვრებისა და მისი ნათელი სამყაროს ამსახველი მუსიკალური, ლიტერატურული დრამატურგიის შესაქმნელად.


ჩვენს თეატრს საიუბილეო თარიღებთან შეხვედრის კარგი ტრადიცია აქვს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დიად თარიღს მიეძღვნა კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშვილისა და დრამატურგ გიორგი ნახუცრიშვილის ოპერეტა „ნინო“, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილისა და დრამატურგ მიხეილ გოგიაშვილის ოპერეტა „მეცხრე ტალღა“.

ამჟამად კომპოზიტორი ოთარ გორდელი და დრამატურგი ლევან ჭუბაბრია მთელი შემოქმედებითი დატვირთვით მუშაობენ ახალ ნაწარმოებზე, რომელსაც ავტორები აგრეთვე საიუბილეო თარიღს უძღვნიან.

განზრახული გვაქვს ქართველი ხალხის ამ დიდ საიუბილეო დღეებში მოვაწყოთ ჩვენი საუკეთესო დადგმების დეკადა. გაიმართება კოლექტივის შესვედრები საშეფო წარმოებისა და კოლმეურნეობის მოწინავეებთან, სპეციალურად მათთვის მოეწყობა წარმოდგენა-კონცერტები.

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს მინდა ვაუწყო, რომ ჩვენს თეატრს წლევანდელ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის, თბილისის ქორეოგრაფიული და მუსიკალური სასწავლებლის ბევრი ნიჭიერი კურსდამთავრებული ახალგაზრდა შეემატა.

შარშანდელი სეზონი ჩვენი თეატრისათვის ძალზე ნაყოფიერი იყო. მოსკოვში გასტროლების წარმატებით მოწყობა, ლენინის საიუბილეო საკავშირო კონკურსზე მონაწილეობის უფლების მოპოვება, ის, რომ მთელ სეზონში ჩვენი თეატრის დარბაზში არც ერთი სკამი თავისუფალი არ ყოფილა — ძალზე ბევრს გვავალებს.



სურათზე: მუსიკალური კომედიის თეატრის ფოიე.

ჩავედით, ვნახეთ, გავიმარჯვეთ

ჩვენი გაზეთის წინა, მე-16 ნომერში მკითხველებს ვაუწყეთ იმ დიდ წარმატებაზე, რომელიც საფრანგეთში, შარანტის დეპარტამენტის ქალაქ კონფოლანში გამართულ ფოლკლორისტთა საერთაშორისო ფესტივალზე რუსთავის თვითმოქმედმა ვოკალურ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სალხინომ“ მოიპოვა. როდესაც გაზეთის ხსენებული ნომერი იბეჭდებოდა, ანსამბლის წევრები სამშობლოსკენ აღგნენ გზას. ამჟამად ისინი უკვე მშობლიურ ქალაქში იმყოფებიან და სიამოვნებით გაგვიზიარეს საფრანგეთში მიღებული შთაბეჭდილებანი.

მოვუსმინოთ ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს რევაზ მორჩილაძეს.

— ფოლკლორისტთა საერთაშორისო ფესტივალი ყოველწლიურად იმართება. თითოეული ქვეყანა მასში მხოლოდ ერთი კოლექტივით მონაწილეობს. წლეულს საბჭოთა ხელოვნების დესპანობა ჩვენ დაგვევალა და, ცხადია, დიდი მღელვარებითა და პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ ასეთ ნდობას.

ჩვენმა ცეკვებმა უკვე კარგად გააცნეს თავი მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს. მაგრამ ქართული სიმღერა არც ისე დიდი ხანია გასცდა მშობლიურ ფარგლებს. ამიტომ დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა ვნახეთ, რომ ქართულმა სიმღერამ წარმატებით გაუძღო გამოცდას და ცეკვასთან შეჯიბრებაში პირველობაც მოიპოვა.

ანსამბლმა მოწონება პირველ დღესვე დაიმსახურა, როცა ფესტივალის გახსნის საპატიო მისია დაევალა. „სალხინოს“ დიდმა წარმატებამ განაპირობა ისიც, რომ ფესტივალის დახურვაც ჩვენ მოგვეხდო.

წლევანდელი ფესტივალი რიგით მე-13 იყო. ამბობენ, 13 ნავსი რიცხვიაო. ჩვენთვის კი ძალზე ბედნიერი გამოდგა — ჩვენი კოლექტივი პირველი და ერთადერთი იყო, რომელსაც დიპლომი და ლაურეატის წოდება ბიეკუთვნა ფოლკლორის ფესტივალის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე.

სასიხარულო გახლდათ ისიც, რომ საფრანგეთის ტელესტუდიამ ფირზე გადაიღო „სალხინოს“ ცალკეული ნომრები და რამდენჯერმე უჩვენა მაყურებელს. ფესტივალის დამთავრების შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის თხოვნით მოვაწყეთ ტურნე საფრანგეთის ცენტრალური რაიონების ქალაქებში, ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, პლაჟებში. გავიარეთ 7 ათასამდე კილომეტრი ავტობუსით, გავმართეთ 24 კონცერტი 15 დასახლებულ პუნქტში, რომელსაც 80 ათასამდე კაცი დაესწრო.

ყველა კონცერტი ფასიანი იყო. შემოსავალი გადაეცა ფესტივალის ორგანიზატორებს. ყველგან, სადაც კი ვიყავით, ჭალაქის მერი გვიმართავდა ოფიციალურ მიღებას, ადგილობრივი პრესა დაწვრილებით აშუქებდა ჩვენს გამოსვლებს, აქვეყნებდა ფოტოებსა და რეცენზიებს.

ძალზე დაგვახსომდა შეხვედრები უბრალო ფრანგ ადამიანებთან. ხოგჯერ ისეთ ქალაქსა თუ რაიონში გვიხდებოდა გამოსვლა, სადაც სასტუმროც კი არ იყო და ადგილობრივი მოსახლეობა გვაწვევდა მასპინძლობას. ბევრგან პირველად ნახეს საბჭოთა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები. მართალია ერთმანეთის ენა არ ვიცოდით, მაგრამ ყველასათვის გასაგები მეგობრობის ენით — ჟესტებით ადვილად ვუგებდით ერთმანეთს. თქვენ საბჭოთა რუსეთიდან ხართ? — გვეკითხებოდნენ მასპინძლები. არა, საბჭოთა საქართველოდან — ვუპასუხებდით ჩვენ. განა ეს ერთი და იგივე არ არის? — უკვირდათ ზოგჯერ. ჩვენ კი ვუხსნიდით, რომ საქართველო, ისევე როგორც რუსეთი, არის ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი, სუვერენული რესპუბლიკა დიდი ქვეყნისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია. ბევრი მათგანისათვის ეს პირდაპირ აღმოჩენა იყო და არც მალავდნენ გაოცებას, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა რესპუბლიკას აქვს თავისი საკუთარი სახელმწიფო ენა, სახელმწიფო ორგანოები და სხვა.

მასპინძლებთან გატარებული ერთი დღეც იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ დილით თვალცრემლიანი გვეთხოვებოდნენ...

ყველგან, სადაც კი ვყოფილვართ, ვცდილობდით, რაც შეიძლება უკეთ წარმოგვედგინა ჩვენი ცეკვისა და სიმღერის უნიკალური ნიმუშები. მასპინძლებს ყველაფერი ერთნაირად აღაფრთოვანებდათ — ვაჟკაცური „ოდოია“ თუ ლირიკული „ნანა“, ჩახვეული „ხასანბეგურა“ და გულშიჩამწვდომი ძველებური სალალობლები, ცეცხლოვანი „მხედრული“ და საოცარი „ნარნარი“, „ფარიკაობა“, „სადარბაზო“... საკრავიერ ტრიოს, რომელსაც ომარ კელაპტრიშვილი ხელმძღვანელობს, თითქმის ყველაფერს 3-4-ჯერ ამეორებინებდნენ, ყველა კონცერტს მაყურებლები მაგნიტოფონზე იწერდნენ და შესვენებაზე თუ კონცერტის შემდეგ კვლავ გაისმოდა ქართული მელოდიები... გვთხოვდნენ ნოტებს, ფირფიტებს, ჩანაწერებს. ერთ-ერთი კონცერტის დაწყებამდე ანსამბლის სოლისტმა ჰამლეტ გონაშვილმა კონცერტზე მოსულ კორსიკელებს „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ ასწავლა. ნახევარი საათის შემდეგ მაყურებლები საოცრად გამართული ქართულით მღეროდნენ ამ სიმღერას. ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა კი ერთ-ერთ ბავარიელს, რომელიც ტიროლურ სიმღერებს ასრულებდა, კრიმანჭული შეასწავლა. ქართული ცეკვის შესწავლას მსურველები არ ელეოდა ქორეოგრაფ რევაზ ჭოხონელიძესაც...

საინტერესო გამოდგა შეხვედრა საფრანგეთის ბასკებთან. ისინი არა მხოლოდ გარეგნულად ჰგვანან ქართველებს, არამედ ზოგიერთის გვარიც კი ჩვენებური აქვს, მაგალითად, მუნარგია, ლორია...

დიდ ყურადღებას იჩენდნენ ჩვენს მიმართ საფრანგეთში მცხოვრები თანამემამულეები, განსაკუთრებით უნდა ითქვას ტარიელ ჟღენტზე, რომელიც ყველგან დაგვყვებოდა და თითქმის ყველა ჩვენს კონცერტს დაესწრო. ხშირად გვხახულობდნენ გურამ წულაძე, ვანო ანდრონიკაშვილი, ჯიბო ყანჩელი... ერთ-ერთ შეხვედრაზე თარჯიმნობა გაგვიწია ჩვენმა თანამემამულემ გიორგი წერეთელმა.

თანამემამულეებმა ბევრ იმპრესარიოს გააცნეს ჩვენი თავი. მივიღეთ მიწვევა თურქეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში. იმედი გვაქვს, მომავალშიც ღირსეულად ვუჩვენებთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო, მდიდარ ხელოვნებას.

ესპანეთის გზებზე

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

ლონდონში ყურნალ „ქვინტო ლინგო“-ში (ხუთი ენა), რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატში გამოდის, 1969 წლის აპრილის ნომერში მოთავსებულია თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა ძიძიგურის წერილი „ქართული საბჭოთა კავშირის თავისებური ენაა“. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ქართული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართულს ლაპარაკობენ უმთავრესად თურქეთსა და ირანში. ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი დღესდღეობით 3 მილიონზე მეტია. ქართველი ერი მსოფლიოს ერთ ერთი უძველესი კულტურული ერია, რომელსაც კი იცნობს კაცობრიობა.

საერთო სათავის არსებობა ქართულისა და მცირე აზიის მკვდარ ენებს შორის, ასევე ბასკურსა და ქართულს შორის, ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის დადასტურებული. ქართული გენეტური ნათესაობის დადგენა სცადეს ინდოევროპულ, თურანულ და სემიტურ ენებთანაც, მაგრამ უშედეგოდ.

ქართული ენის ფონეტიკური სისტემა და გრამატიკული წყობა ბევრ თავისებურებას იჩენს. ფონეტიკურ სისტემას ახასიათებს თანხმოვანთა სიჭარბე და ხმოვანთა სიმარტივე. თანხმოვნები ქმნიან წყვილეულებსა და სამეულებს. შესამჩნევია მკვეთრი ხშულების (კპტ) არსებობა. მახვილი ქართულში ფრიად სუსტია. სიტყვებში გამოიყენება პრეფიქსებიცა და სუფიქსებიც, სახელის წარმოება მარტივია (ერთი ბრუნება, შვიდი ბრუნვა), ენას არა აქვს კუზატივი, სამაგიეროდ, არის ერგატივი.

ქართული ზმნა რთული და მრავალპირიანია. იგი აღნიშნავს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს გრამატიკული სქესი ქართულს არ გააჩნია. გარდამავალი ზმნის თავისებურება ქმნის ეგრეთ წოდებულ ერეგატიულ კონსტრუქციას. ორპირიან და სამპირიან ზმნას საშუალება აქვს გამოხატოს კუთვნილებითი დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს, აგრეთვე ობიექტსა და ობიექტს შორის.

კაუზატივის კატეგორიაც ასევე ფრიად თავისებურია. სუბიექტის ბრუნვებია: ნომინატივი, ერგატივი, დატივი. ქართულის ლექსიკური მარაგიც მდიდარია: განმარტებით ლექსიკონში შევიდა 113.000 სიტყვა (ეს ციფრი არ ამოწურავს ლექსიკის სიმდიდრეს). ინდოევროპულ, სემიტურ, თურქულ და სხვა ოჯახის ენებთან, კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად, ქართულში მრავალი უცხოური სიტყვა შემოვიდა. ზოგი ეს ნასესხობა ისე ძველია, რომ მათი ფონეტიკური თვალსაზრისით შესწავლა ინტერესს იწვევს ზემოხსენებული ენების ისტორიისათვისაც...

„ქართული თავისებური ენაა“

ქართულში უხვად არის წარმოდგენილი ორიგინალური მეტალურგიული ტერმინოლოგია. იმ ცნობებიდან, რომლებსაც ვხვდებით ძველ ბერძენ ავტორთა თხზულებებსა და ბიბლიაში, აშკარაა, რომ უძველეს ქართველ ტომებში ლითონთა წარმოება უმაღლეს წერტილამდე იყო განვითარებული. ბერძნული ტერმინი, რომელიც ფოლადს აღნიშნავს, მომდინარეობს უძველესი ქართველი ტომის ხალიბების სახელისაგან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოვიდა ქართული ენის ფუნდამენტური გრამატიკა და განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად. უცხო სიტყვათა ლექსიკონი შეიცავს 10.000 საერთაშორისო სიტყვას, რომლებიც იხმარება ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში.

მეთორმეტე საუკუნე საქართველოს ოქროს ხანად არის აღიარებული. ამ საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უდიდესი პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი. მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ინგლისურადაც“ (აქ მოყვანილია ქართული შრიფტით ორი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანითურთ).

უკანასკნელ წლებში ევროპასა და ამერიკაში სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ქართული ენისადმი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხსენებული ყურნალის რედაქციამ პროფესორ შოთა ძიძიგურს აღნიშნული სტატიის დაწერა სპეციალურად სთხოვა ამ მიზნით საგანგებოდ გამოგზავნილ წერილში. სტატიას წამძღვარებული აქვს ავტორის ტიტული.

„ქვინტო ლინგო“ ყურნალია სტუდენტთათვის. იგი დახმარებას უწევს უცხოური ენების შემსწავლელთ. ყურნალში თავსდება მოკლე მოთხრობები, სტატიები ხუთ ენაზე მათი ინგლისური თარგმანითურთ, აგრეთვე სხვა სახის ლინგვისტური წერილები. ამ ნომერში ყურადღებას იპყრობს შემდეგი სტატიები: ჯონ ფლოტეს „კავკასია — ენების კიდობანი“. ოლღა გოლდენკეს — „ესტონური ენა“ და სხვა. ნომერში ბევრი ცნობაა იმის თაობაზე, თუ რა წარმატებით ისწავლება უცხოური ენები საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში.

მიხეილ ჯაველი

ცისკრის ფერადი ფურცელი

ბოლო ზარი

ბოლო ზარი (ფოტოსურათი) წარმოადგენს ტრადიციულ ღონისძიებას, რომელიც ტარდება სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავად. ეს ტრადიცია სათავეს იღებს მე-19 საუკუნის ბოლოდან და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ზარის დარეკვა სიმბოლურად ნიშნავს ერთი ეტაპის დასრულებასა და მეორის დაწყებას. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეთერთმეტეკლასელებისთვის, რომლებიც ამ დღეს ამთავრებენ საშუალო სკოლას.

ფოტოსურათზე ნაჩვენებია ერთ-ერთი ასეთი ზარის მომენტი. წინა პლანზე ხედავთ მოსწავლეებს, რომლებიც ყვავილებით ხელში ელოდებიან ცერემონიის დაწყებას. ისინი ჩაცმულნი არიან ოფიციალურ ტანსაცმელში, რაც ხაზს უსვამს ამ დღის განსაკუთრებულ ხასიათს. ფონზე ხედავთ სკოლის შენობის ნაწილს, სადაც ტრადიციულად იკრიბებიან მშობლები და სტუმრები.

ზარის დარეკვის წინ სკოლის დირექტორი ან მასწავლებლების საბჭოს თავმჯდომარე ტრადიციულად წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც აჯამებს გავლილ გზას და მადლობას უხდის მასწავლებლებს მათი შრომისთვის. ეს სიტყვა ხშირად ემოციურია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მათი მშობლებისთვის. ბევრი მშობელი ამ დროს ცრემლებს ვერ იკავებს, რადგან ხედავს, თუ როგორ გაიზარდნენ მათი შვილები ამ წლების განმავლობაში.

ზარის დარეკვის შემდეგ ტარდება ტრადიციული გასეირნება ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, სადაც მეთერთმეტეკლასელები ატარებენ სპეციალურ მანქანებს, ხოლო მათ თანმხლებ პირებს შორის ხშირად ხვდებიან ყოფილი მეთერთმეტეკლასელები, რომლებიც ამ გზით ინარჩუნებენ კავშირს სკოლასთან. ეს ტრადიცია ასევე ასიმბოლურებს ახალგაზრდების ზრდასრულ ცხოვრებაში გადასვლას.

ფოტოსურათის ავტორია ნინო ბერიძე, რომელიც ამ სერიის ფარგლებში ასევე გადაიღებს ზარის დარეკვის ვიდეოჩანაწერსაც. ფოტოსურათი გადაიღო 1567 წლის მაისში, ლენტის ფირზე, ფოტოაპარატით „ზენიტ-ბ“. ფოტოს ავტორი ამჟამად სწავლობს ხელოვნების ინსტიტუტის (XVIII საუკ.) ისტორიის ფაკულტეტზე. ფოტოსურათის ასლები გადაეცემა სკოლის მუზეუმს, სადაც ისინი შეინახება მომავალი თაობებისთვის.

ბოლო ზარი

ამონარიდი

ცისკრის ფერადი ფურცელი

ბოლო ზარი (ფოტოსურათი) და ზარის დარეკვის ცერემონია (XVIII საუკ.), რომელიც ტარდება სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავად. ეს ტრადიცია სათავეს იღებს მე-19 საუკუნის ბოლოდან და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ზარის დარეკვა სიმბოლურად ნიშნავს ერთი ეტაპის დასრულებასა და მეორის დაწყებას. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეთერთმეტეკლასელებისთვის, რომლებიც ამ დღეს ამთავრებენ საშუალო სკოლას. ფოტოსურათზე ნაჩვენებია ერთ-ერთი ასეთი ზარის მომენტი. წინა პლანზე ხედავთ მოსწავლეებს, რომლებიც ყვავილებით ხელში ელოდებიან ცერემონიის დაწყებას. ისინი ჩაცმულნი არიან ოფიციალურ ტანსაცმელში, რაც ხაზს უსვამს ამ დღის განსაკუთრებულ ხასიათს. ფონზე ხედავთ სკოლის შენობის ნაწილს, სადაც ტრადიციულად იკრიბებიან მშობლები და სტუმრები. ზარის დარეკვის წინ სკოლის დირექტორი ან მასწავლებლების საბჭოს თავმჯდომარე ტრადიციულად წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც აჯამებს გავლილ გზას და მადლობას უხდის მასწავლებლებს მათი შრომისთვის. ეს სიტყვა ხშირად ემოციურია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მათი მშობლებისთვის. ბევრი მშობელი ამ დროს ცრემლებს ვერ იკავებს, რადგან ხედავს, თუ როგორ გაიზარდნენ მათი შვილები ამ წლების განმავლობაში. ზარის დარეკვის შემდეგ ტარდება ტრადიციული გასეირნება ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, სადაც მეთერთმეტეკლასელები ატარებენ სპეციალურ მანქანებს, ხოლო მათ თანმხლებ პირებს შორის ხშირად ხვდებიან ყოფილი მეთერთმეტეკლასელები, რომლებიც ამ გზით ინარჩუნებენ კავშირს სკოლასთან. ეს ტრადიცია ასევე ასიმბოლურებს ახალგაზრდების ზრდასრულ ცხოვრებაში გადასვლას. ფოტოსურათის ავტორია ნინო ბერიძე, რომელიც ამ სერიის ფარგლებში ასევე გადაიღებს ზარის დარეკვის ვიდეოჩანაწერსაც. ფოტოსურათი გადაიღო 1567 წლის მაისში, ლენტის ფირზე, ფოტოაპარატით „ზენიტ-ბ“. ფოტოს ავტორი ამჟამად სწავლობს ხელოვნების ინსტიტუტის (XVIII საუკ.) ისტორიის ფაკულტეტზე. ფოტოსურათის ასლები გადაეცემა სკოლის მუზეუმს, სადაც ისინი შეინახება მომავალი თაობებისთვის.

ცისკრის ფერადი ფურცელი. დაარსდა 1899 წელს. გამოდის ორშაბათობით. ტირაჟი 12 500. ფასი 3 კაპ. ინდექსი 74321. ქალაქის სტამბა, 1970 წ. — სარედაქციო კოლეგია: ნ. ბერიძე (მთავარი რედაქტორი), ლ. ქავთარაძე, ვ. ნოზაძე, ე. ჩიქოვანი, ნ. ბერიძე (პასუხისმგებელი მდივანი). მისამართი: ქალაქი, ცისკრის ქუჩა, 14. ტელეფონი 2-31-07.

ბოლო ზარი (ფოტოსურათი)	1
ფერადი ფურცელი	1
ჩვენი ეზო	2
ბოლო ზარი	3
ბოლო ზარი	3
ბოლო ზარი	3

ჩვენი ფოსტა

წერილი პარიზიდან

24 მკათათვე 1970

დიდად პატივცემულო ბატონო და თანამემამულევ!

უკიდურესად ყოვლისა, ვიბოდიშებ, პასუხის დაგვიანებას ჩემი მეუღლის ავადმყოფობის გამო, რას გავაწყობთ, მეტად მოვხუცდით. აი ჩემი პეტერბურგის ამხანაგი, ჩვენი ძვირფასი შალვა ნუცუბიძე უკვე გარდაიცვალა, გვიან გავიგე და მხოლოდ ეხლა მოგახსენებთ ჩემს მწუხარებას და სამძიმარს ქართული მეცნიერების ახლო დიდი დანაკლისისათვის. ისა და მე ერთად ვსწავლობდით პეტერბურგში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჩვენი ფილოსოფიის ისტორიის პროფესორი იყო სახელგანთქმული ფილოსოფოსი, პროფესორი ვედენსკი, რომელმაც აღზარდა გამოჩენილი მეცნიერები ლაშინი და ლოსკი (ინტივიტუისტური ფილოსოფიის მამამთავარი), შალვა შესამე საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და ვედენსკის ხელმძღვანელობით კურსდამთავრებულმა საზღვარგარეთ მიაშურა. მე კი ისტორიული სექცია ავირჩიე და დავამთავრე 1912 წელს. მაგრამ ბ-ნი ხიდაშელის ასეთი ბიოგრაფიის შემდეგ ვერაფერს ვიტყვით, იმდენად შესამჩნევია და სრული ეს მშვენიერი ნაწარმოები. გმადლობთ წიგნისათვის, ჩემთვის ძვირფასია მისი ჩემ ბიბლიოთეკაში მოთავსება. აქედან მე 69-ე გვერდზე № 52 «Амиран» Грузинская мифологическая поэма» реставрировал и перевел Шалва Нуцубидзе... მაინტერესებს, ვინაიდან მას დართული აქვს შესანიშნავი წინასიტყვაობა და აგრეთვე ადგილსახელების განმარტება. გვინდა მისი გადათარგმნა ფრანგულად ჩემ მეუღლის (რომელმაც აქ, სორბონაში დაამთავრა სწავლა) და მე. თავისთავად ცხადია, ყოველივე ხარჯს ავიანაზღაურებთ. ამის შემდეგ ვეცდებით გადავთარგმნოთ „სიბრძნე ბალავარისა“.

ამასთანავე გაახლებთ სამ სურათს, რომელიც ჩემმა უძვირფასესმა აღმზრდელმა და მასწავლებელმა ექვთიმე თაყაიშვილმა დამიტოვა სახსოვრად. მაგრამ შეიძლება ამ სურათებს უკეთესი ადგილი ეჭნეს სამშობლოში, თუ ექვთიმეს სახსოვარი „სახლი“ დაარსდა. საერთოდ, ექვთიმეს შესახებ აქაური ცხოვრების ისტორია თუ გაინტერესებთ, ყველაფერს დაწვრილებით მოგწერთ, რადგან მე ვეყავი მისი მომვლელი და მესაიდუმლე... სხვათა შორის ექვთიმე იყო მიზეზი, რომ ჩვენ გამოვძებნეთ და მოვუარეთ ფიროსმანაშვილს. ამაზედ ყველა ცნობების მოცემა შეუძლია ფიროსმანაშვილის მომძებნელს და მომვლელს, რომელიც ამჟამად თქვენი პროფესორია: ბატონ გუდიაშვილს, ჩემს ძველ მეგობარს.

კიდევ გაახლებთ ამ ღია ბარათს. ეს გახლავთ ერთერთი უდიდესი სილამაზის ქართული ხელოვნების ძეგლი „სოფიის კენჭით“ ფრესკების მოკირწყვლისა საფრანგეთში. ჩემგან (ორლეანიდან) 25 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს პატარა ქალაქია „Germiny-des-Prés“ (ჟერმინი-დე-პრე) IX საუკუნისა. აბსიდის მოზაიკა (სოფიის კენჭით ფრესკის მოკირწყვლა) წარმოადგენს ორ მთავარანგელოზის ფრესკას. მოზაიკა მეტად მიემსგავსება წრომის კათედრალის (შუა ქართლი) მოზაიკას. ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს მოზაიკა ხელოვნებაა ქართველი ხელოსნებისა, რომელნიც, ალბათ, ჯვაროსანთა ომების დროს იღებდნენ მონაწილეობას იერუსალიმის აღებაში და იქიდან წამოჰყვნენ ფრანგ ჯვაროსნებს საფრანგეთში. მოხუცებულმა წინამძღვარმა რომ გაიგო ქართველები ვეყავით მეტად გაეხარდა და გვითხრა —მობრძანდით, თქვენ თქვენს ოჯახში ხართ, ვინაიდან ფრესკები ქართველი ოსტატების ნამუშევარიაო.

ჟერმინის აღწერილობაში ნათქვამია: კავკასიას უნდა მივმართოთ ყოველთვის რელიგიისა და ხელოვნების სათავეთა მისაგნებად.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი პატივისცემის გრძნობები და სალამი.

ი. გოგოლაშვილი









იოსებ გოგოლაშვილის მიერ გამოგზავნილი სურათები. ზევით — ჟერმინი-დე-პრეს შიგნითა ხედი; ქვევით მარცხნიდან — ექვთიმე თაყაიშვილი ბავშვობაში; ექვთიმე (შუაში) სტაროსელსკების ოჯახში, გადაღებულია ლამისყანაში; ექვთიმე თაყაიშვილი და სამსონ ფირცხალავა (მარჯვნივ პირველი) ქართველ ემიგრანტთა ოჯახის წევრებთან ერთად. სურათი გადაიღო 1927 წელს პარიზის მახლობლად, სოფელ ლევილში იოსებ გოგოლაშვილმა.

რედაქციისაგან

ბატონო იოსებ!

ვეიძლებოდა ეს ბარათი არ გამოგვექვეყნებინა და პასუხიც პირადად მოგვეწერა. მაგრამ გვინდა „სამშობლოს“ მკითხველებმაც იცოდნენ თქვენი კეთილშობილური განწყობა — თარგმნოთ ფრანგულად შალვა ნუცუბიძის შემოხსენებული ნაშრომი და „სიბრძნე ბალავარისა“. უახლოეს დროში მიიღებთ თქვენს მიერ სათარგმნელად შერჩეულ ნაშრომს ქართულ ენაზე. რაც შეეხება „ხარჯის ანაზღაურებას“, ვფიქრობთ, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. აბა რა ხარჯი უნდა შეადგინოს ორიოდე წიგნის გამოგზავნამ. თუ კიდევ რაიმე დაგჭირდეთ, გთხოვთ ნუ მოგვერიდებით.

განსაკუთრებით გაგვახარა დიდი ქარდველი მეცნიერისა და მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის უნიკალური სურათების მილებამ. რა თქმა უნდა, არ ცდებით, როცა ამბობთ, რომ მათ სამშობლოში უკეთესი ადგილი ექნებათო. მაგრამ უველაზე მეტად ახლა თქვენს მიერ შემოთავაზებული სამსახურით გვინდა ვისარგებლოთ: ძალიან კარგ და სახარგებლო საქმეს გააკეთებთ თუ ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრაციაში ცხოვრებასა და მოღვაწეობას დაწვრილებით აღწერთ და გამოგვიგზავნით.

ვფიქრობთ, ჩვენს ისტორიკოსებს დაინტერესებთ თქვენს მიერ მოწოდებული ღია ბარათი და ცნობა ჟერმინი-დე-პრეს მონასტრის შესახებ. ამაზედაც დიდი მადლობა მოგვიხსენებია.

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენ და თქვენს მეუღლეს.

რედაქციისაგან

ქრონიკა და ქრონიკა

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში).

ბალვას ბეჯითად დაუხატავს საგ. კა (ბ) წევრის ბილეთი და ამჟამად ასეთი ბილეთები უკვე ყველა კომუნისტ-იატაკქვეშელებს ჰქონდათ.

სიმონმა მხურვალედ ჩამოართვა შალვას ხელი.

— მე მოხარული ვარ, — გაუღიმა საპასუხოდ ბახტაძემ, —რომ თქვენ იყოთ კომუნისტური პარტიის წევრი, და ყოველთვის სიტყვაძუნწმა შალვამ მოულოდნელად ჰკითხა სიმონს: რა აზრისა ხართ გაბლიანზე?

— რა იყო? — ყური დაცქვიტა სიმონმა. ორი კვირაა გიჟი და ის ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ გარკვეული აზრი მასზე ჯერ კიდევ არ ჰქონდა.

— ამხანაგებს აინტერესებთ. კარგი კი იყო ხელში ჩაგვეგდო დაზვერვის უფროსი.

— ეს არ არის ცუდი... — უპასუხა სიმონმა. — მაგრამ მოვიცადოთ...

— და თავისი გადაწყვეტილების დასამტკიცებლად განაგრძო: — კი, კი მოვიცადოთ! უჩემოდ არავითარი ნაბიჯი არ გადადგათ.

მაგრამ გაბლიანის ამოცნობა, მისი სულის სიღრმეში შეღწევა ისევე არ ხერხდებოდა, როგორც გაბლიანს არ გამოდიოდა სიმონთან დაახლოება. ერთი შეხედვით მოგვეჩვენებოდათ, რომ ისინი კარგად იყვნენ ერთმანეთთან, ხშირად და ხანგრძლივად საუბრობდნენ კიდეც. გაბლიანი გრძნობდა, რომ მას და სიმონს შორის რაღაც უხილავი ზღუდე არსებობს, რომლის გადალახვაც შეუძლებელი ხდებოდა. მაგალითად, ვერასგზით ვერ აიყოლია წიკლაური გერმანელებზე და ომის პერსპექტივებზე სასაუბროდ.

— მე მწყობრის ოფიცერი ვარ და პოლიტიკას არ მივსდევ, — იმეორებდა კაპიტანი ოდესლაც სსრ ინსპექტორისადმი — ბარონ ფონ შტოკისადმი ერთხელ ნათქვამ სიტყვებს.

გაბლიანი ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მიეღწია თავისი დასახული მიზნისათვის.

ერთხელ სალამოს მან წიკლაურს შესთავაზა:

— ამბობენ, მეთხუთე ასეულში ჯარისკაცი სიმონიძე სასუმარო სიმღერებს თხზავსო, ხომ არ წავიდეთ და მოვუსმინოთ!

— წავიდეთ. — მხრები შეიშმუშნა წიკლაურმა.

სიმონიძე სიხარულით ცას სწვდა. ათასეულის მეთაური და დაზვერვის მეთაური მისი სიმღერების მოსასმენად მოვიდნენ! სიმონიძე არასდროს ასეთ გუნებაზე არ ყოფილა. პოპულარულ ხალხურ მელოდიებზე აღეწერებული მისი ლექსები მართლაც სიცილს მოჰგვრიდა ჯაცს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიმღერა კი მან ბოლოსთვის შემოინახა, ეს იყო ახალი სიმღერა, რომელშიც სტალინს დასცინოდა და აბუჩად იგდებდა სიშმობლოს, სიმონიძე ისე გაერთო, რომ ვერც შეამჩნია, როგორ შეწყდა სიცილი და დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

გაბლიანი წიკლაურს მისჩერებოდა და ძლივს იკავებდა გაცინებას. სიმონს კი სახე გაუფითრდა, თვალები სისხლით აევსო. მან დაკარგა მოთმინება, მთელი ძალით მოჭნეული სილა გააწნა არამზადას, მკვეთრად მობრუნდა და ჯაზარმიდან გავიდა.

გაბლიანი წამოეწია კაპიტანს, ხელი იღლიაში გამოსდო, ფეხი აუწყო და შეაქო

— ყოჩაღ, სიმონ, მე თვითონ მინდოდა მეთხლიშა მაგ უნამუსოსათვის.

— ვერ ვიტან უსინდისობას! — უთხრა წიკლაურმა. მაგრამ იგი ჯავრობდა თავის თავზე, რომ მოთმინებამ ულალატა.

ერთხელ, როდესაც საღამოს კომღერებს თხზავსო, ხომ არ წავიდეთ და მოვუსმინოთ!

— წავიდეთ. — მხრები შეიშმუშნა წიკლაურმა.

სიმონიძე სიხარულით ცას სწვდა. ათასეულის მეთაური და დაზვერვის მეთაური მისი სიმღერების მოსასმენად მოვიდნენ! სიმონიძე არასდროს ასეთ გუნებაზე არ ყოფილა. პოპულარულ ხალხურ მელოდიებზე აღეწერებული მისი ლექსები მართლაც სიცილს მოჰგვრიდა ჯაცს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიმღერა კი მან ბოლოსთვის შემოინახა, ეს იყო ახალი სიმღერა, რომელშიც სტალინს დასცინოდა და აბუჩად იგდებდა სიშმობლოს, სიმონიძე ისე გაერთო, რომ ვერც შეამჩნია, როგორ შეწყდა სიცილი და დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

გაბლიანი წიკლაურს მისჩერებოდა და ძლივს იკავებდა გაცინებას. სიმონს კი სახე გაუფითრდა, თვალები სისხლით აევსო. მან დაკარგა მოთმინება, მთელი ძალით მოჭნეული სილა გააწნა არამზადას, მკვეთრად მობრუნდა და ჯაზარმიდან გავიდა.

გაბლიანი წამოეწია კაპიტანს, ხელი იღლიაში გამოსდო, ფეხი აუწყო და შეაქო

— ყოჩაღ, სიმონ, მე თვითონ მინდოდა მეთხლიშა მაგ უნამუსოსათვის.

— ვერ ვიტან უსინდისობას! — უთხრა წიკლაურმა. მაგრამ იგი ჯავრობდა თავის თავზე, რომ მოთმინებამ ულალატა.

ერთხელ, როდესაც საღამოს კონტინიდან შინ დაბრუნდნენ და დაწვნენ, გაბლიანმა დაიწყო:

— სიმონ, მინდა გულახდილად მოგელაპარაკო, ჩვენ ხომ დღესაც საბჭოთა ადამიანები ვართ.

— გივი, მე და შენ გერმანელი ჯარისკაცები ვართ, — მოუჭრა წიკლაურმა.

— შენ რა ჯანდაბა ხარ, ქართველი არ ხარ?! — გაცოფდა გაბლიანი.

— რა თქმა უნდა, ქართველი ვარ.

— მერე, გინდა, რომ სამშობლოში ჩაბრუნდე ეს გერმანელი არამზადები?

— გივი, მისმინე, — უკმაყოფილოდ უპასუხა წიკლაურმა, — ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ...

გაბლიანი წამოხტა, წიკლაურს მიუჯდა და ხელი ხელში სტაცა.

— ნუთუ მთელ ათასეულში არცერთი ნამდვილი ჭკუაზე არ არის? არც ერთი კომუნისტი?.. ნუთუ ყველა ნაძირალები, არამზადები, მოღალატენი არიან, ნუთუ ყველა იმის ღირსია, რომ დახვრიტო, წამოჭიქიო, მიწის პირისგან აღგავო? ნუთუ აქამდე არავის მოუვიდა ფიქრად, ათასეულში რაიმე ორგანიზაცია შეექმნა, ჯარისკაცები მოემზადებინა და გამოეყენებინა იარაღი მტრისათვის წინააღმდეგ?!

— „იჭვით ლაპარაკობს, თუ იცის რამე“?! — შეფიქრიანდა კაპიტანი.

— იცი, რა გითხრა? მოიცილე თავიდან ეგ სულელური აზრები და

სასქესო
მაია ნემიროვა
ენვერ კალანდაძე
ცნაღვეტი წიგნიდან

მეტრეველი ამერიკაში

ჩვენი სახელოვანი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. პირველი ასპარეზობა, რომელშიც საბჭოთა კავშირის „№ 1 ჩოგანმა“ მიიღო მონაწილეობა, ნიუ-ჯერსის შტატში გამართული საერთაშორისო ტურნირი გახლდათ. ალექსანდრე მეტრეველმა ზედიზედ დაამარცხა რამდენიმე მეტოქე. ნახევარფინალში კი ჩვენი პლანეტის „პირველი ჩოგანი“ ავსტრალიელ ლეივერს შეხვდა. მძაფრი ბრძოლა ავსტრალიელის გამარჯვებით დამთავრდა — 6:4, 7:5, 6:4. ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, თბილისელ სპორტსმენს არ ჰყოფნის ბალახიან კორტებზე თამაშის გამოცდილება.

ამ ტურნირის შემდეგ ალექსანდრე მეტრეველი ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში ჩაება. სამწუხაროდ, სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი აქ მალე მეორე წრიდან გამოეთიშა ტურნირს.

კვლავ მარცხი

ვერაფრით გვახარებენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები. ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის, ისინი ქულას ქულაზე კარგავენ. უკანასკნელ ორ მატჩში მათ მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლეს. ჯერ იყო და, კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ანგარიშით 0:2 დამარცხდნენ, შემდეგ კი ოდესის „ჩერნომორეცთან“ ფრეს (0:0) დასჯერდნენ.

ქუთაისელი პელე

4 ოქტომბერს ქუთაისის ერთერთი ყველაზე ნორჩი მოქალაქის პელე გურულის სახელზე ბრაზილიიდან მოვიდა ნობათი მისი სახელოვანი სეხნიისაგან. ნობათში აღმოჩნდა ოქროს ქალღმერთი ნიკეს სტატუეტის 14-სანტიმეტრიანი ბრინჯაოს პირი და ვერცხლის ფიალა.

„დამწამავე“ გამოდგა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საქსოვი საამქროს ოსტატი, ვეტერანი ფეხბურთელი მიხეილ გურული. ფეხბურთში მხოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მას მალე ვაჟი — შეეძინა. სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის თაყვანისცემამ გადაწყვიტა ვაჟიშვილს პელე დაერქმია და ამის შესახებ მისწერა კიდეც თავის კერპს, თანაც სპორტული დღეგრძელობა და დიდი ბედნიერება უსურვა.

და აი, პასუხიც მოვიდა.

ეს საინტერესო ცნობა სპორტის მოყვარულებმა ამ დღეებში გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე ამოიკითხეს.

● ტურინში 12 დღეს მიმდინარეობდა სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა.

მძლეოსანთა ასპარეზობიდან განსაკუთრებით გაგვახარა სოხუმელი ვიქტორ სანაევის წარმატებამ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა სამხტომში ამჯერადაც იმარჯვა — ოქროს მედალი მოიპოვა.

● საინტერესო ბრძოლით აღინიშნა აჭარის ნორჩ ველოსიპედისტთა პირად-გუნდური საუწყებო პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „კოლმეურნის“, „განთიადისა“, და „დინამოს“ გუნდები. გუნდური გამარჯვება დინამოელებს ხვდათ.

● გაიმართა ლანჩხუთის რაიონის პირველობა ფრენბურთსა და მძლეოსნობაში. ფრენბურთში ყველას აჯობებს მამათის კოლმეურნე სპორტსმენობა. მძლეოსანთა გუნდურ შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდა ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს.

● დამთავრდა რესპუბლიკის თასის — „ოქროს თავთავის“ გათამაშება სოფლის ფეხბურთელთა შორის. ამ საპატიო ჯილდოს მისაღებად ერთმანეთს 1030 გუნდი ეჯიბრებოდა. ფინალური ასპარეზობა, რომელიც აწყურის მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სტადიონზე გაიმართა, ყველაზე უკეთ მასპინძლებმა — აწყურელმა ფეხბურთელებმა წარმართეს, მათ ანგარიშით 3:2 დაამარცხეს მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი, ხოლო ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდს კიდევ უფრო დამაჯერებელი ანგარიშით — 5:1-ზე მოუგეს.

ახლა ჯერი მიდგა საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც ორ ეტაპად გაიმართება. ერთი ზონალური შეჯიბრების მოწყობა განზრახულია აწყურში, სადაც. მასპინძელთა გარდა, ითამაშებენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ლატვიისა და უკრაინის გუნდები. ზონებში I და II ადგილზე გასული გუნდები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, რომელთა დასკვნითი ასპარეზობა ბელორუსიაში გაიმართება.

● ზუგდიდში რამდენსამე დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ლელობურთელთა შეჯიბრება. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ დიდი ჯიხაიშის, ზუგდიდის, ხობის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, გეგეჭკორისა და ქობულეთის გუნდები. ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ დიდი ჯიხაიშის კოლექტივი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჩოხატაურის ნაკრები. დიდჯიხაიშელებმა ჩინებულად ისპარეზეს მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ და გაიმარჯვეს კიდეც — 13:8.

მესამე ადგილი წილად ხვდა ზუგდიდის გუნდს.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ

თინა ლეკვეიშვილის სახელი პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ზუსტად ერთი წლის წინათ გაჩნდა. მას შემდეგ იშვიათია ნომერი, ახალგაზრდა მოცურავის სპორტულ წარმატებებზე რომ არ იუწყებოდეს. სახელოვანი ქალიშვილი იყო მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე, ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, სსრ კავშირის რეკორდსმენი...

წარმატებათა გვირგვინად უნდა მივიჩნიოთ უკანასკნელი გამარჯვება, რომელიც 16 წლის ქალიშვილმა ბარსელონის „ცისფერ ბილიკებზე“ მოიპოვა. 5000 მაყურებლის წინაშე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა თინა ლეკვეიშვილმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია და საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველად მოიხვეჭა ევროპის ჩემპიონის ტიტული 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, თანაც, კონტინენტის ახალი რეკორდით — 1,07,8.

მშვენიერი ქალიშვილის გამარჯვებას ტრიბუნები აღტაცებით შეხვდნენ. ესპანური გაზეთები ფართოდ გამოეხმაურნენ თინათინის წარმატებას. ერთ-ერთმა გაზეთმა პირდაპირ ასე დაწერა: „ქართველმა გოგონამ დაატყვევა ესპანეთის საუკეთესო ტორეადორების გული“. მეორე გაზეთი სწორედ ესპანელ ქალიშვილებთან თინათინის საოცარ მსგავსებას უსვამს ხაზს. და ყველა ერთხმად განსაკუთრებით აღნიშნავს თბილისელი სპორტსმენის საოცარ კდემამოსილებასა და მოკრძალებას...



მესხი განუმეორებელია...

გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გავრილ კაჩალინს. შეკითხვას — დაასახელეთ ყველა დროის სიმბოლური ნაკრები იმ მოთამაშეებისაგან, რომლებთანაც გიმუშავიათ, კაჩალინმა უპასუხა:

„სიმბოლურ ნაკრებს ვერ დავიხელებთ, ვინაიდან ეს საკმაოდ დელიკატური საქმეა. გამოჩენილი ფეხბურთელების ჩამოთვლას კი, მგონია შევძლებ. პირველ ყოვლისა, ეს იაშინია—ყველა დროისა და ხალხების მეკარე, მსოფლიო ფეხბურთის ეპოქალური მოვლენა. შემდეგ სიმონიანი, ნეტო, ვალენტინ ივანოვი, ვორონინი, სტრელცოვი, და უეჭველია, შესტერნოვი, დროის გამოცდას ყოველმა მათგანმა გაუძლო. თავის დროზე მე დავასახელებდი კიდევ მეტრეველს, პონედელნიკსა და მესხს. სხვათა შორის, მესხი განუმეორებელია“.

ᲥᲠ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ

დამაძინე. — სიმონმა დაამთქნარა და კედლისკენ გადაბრუნდა.

გაბლიანმა ენა ჩაიგდო, ცოტა ხნის შემდეგ კი ყრუდ წარმოთქვა:

— ახლა კი წადი და ობერლენდერს მოასსენე.

— არ დაგაბეზღებ, ჩვეული არ ვარ დაბეზღებას, მაგრამ გეტყობა, რომ გრძელი ენა გაქვს და შეიძლება გავნოს როდისმე.

სიმონმა „ღამე მშვიდობისა“ უსურვა და თვალები დახუჭა.

რატომ არ ვენდობი გივის? მარტო იმიტომ, რომ ობერლენდერმა იგი დაზვერვის უფროსად დანიშნა? მაგრამ მე თვითონ ხომ მთელი ათასეულს ვმეთაურობ? იქნებ ტყუილად ვდებ შარს? — ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა სიმონს.

მეორე დილით ელზამ უფრო მეტად შეაფიქრიანა იგი. სიმონს ცალკე დაუძახა და აღელვებით ჰკითხა:

— გაბლიანისათვის ხომ არაფერი გითქვამთ ჩვენი მუშაობის შესახებ?

— არა.

— მადლობა ღმერთს!

— რა იყო, ელზა?

— დღეს ის რაღაც დიდი ხნით და საეჭვოდ საუბრობდა დიურთან.

— მაშ, თქვენ საბოლოოდ მაინც ვერ აღმოაჩინეთ რაზმაძის მკვლელი? — ჰკითხა გაბლიანმა, როდესაც დიურმა მთელი ეს ამბავი უამბო.

— ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ... დიურმა უმწეოდ გაშალა ხელები. წიკლაურმა დაარწმუნა თეოდორი, ჯარისკაცს ბანქოში წაგებული ფულისთვის მოგუდავდნენო.

გაბლიანმა ჩაიცინა:

— სხვა არავინ არ მოუგუდავთ ბანჯოს გულისთვის?

— ა-არა... — დაბნეულად უპასუხა დიურმა.

მარელი ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა გაბლიანმა ოთახში ნელა გაიარ-გამოიარა.

— არ გიფიქრიათ, რომ წიკლაურისთვის ხელსაყრელია ამ ვერსიით თქვენი დაწყნარება? რაზმაძე ხომ თქვენი ერთგული აგენტი იყო, ასე არ არის?!

— არ ვიცი, არ ვიცი... — ჩაიბურტყუნა დიურმა, თუმცა შემდეგ დაუმატა: — არა, ვფიქრობ, არა. თქვენ იცით, გივი, რომ მე არ მიყვარს წიკლაური, მაგრამ არ შეიძლება ყველა ცოდვა მას ავკიდოთ. ნუ გადაამლაშებ, ძვირფასო, თორემ არ ვიქნებით სამართლიანი.

დიურის შენიშვნას არ უმოქმედია გაბლიანზე. მაგრამ ის ფიქრობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჩირქი მოეცხო წიკლაურისათვის და ჩამოეცილებინა თავისი გზიდან. მან გამოსტყუა დიურს თითქმის ყველა მისი აგენტის ვინაობა და დაიმორჩილა ისინი, რათა თავისი ახირებული იდეისთვის მიეღწია — კაპიტნის ორგულობა გამოეშკვლავნებინა. ამერიდან კაპიტნის არცერთი ნაბიჯი არ რჩებოდა გაბლიანის და დიურის შეუმჩნეველი.

დიურის აგენტებს შორის ერთი კაცუნაც იყო — წითელი არმიის ყოფილი უმცროსი ლეიტენანტი ვალიკო ჯაყელი. იგი სულ 24 წლისა გახლდათ, მაგრამ მისი სისაძაგლე ქვეყანას მოსწამლავდა. სადან და როდის დაგროვდა მის სულში ასეთი შხამი, ძნელია იყო ამის თქმა.

ჯაყელი გლეხის ოჯახში დაიბადა. საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა ჯარში გაიწვიეს. იქ სავალდებულო სამსახურის შემდეგაც დარჩა და უმცროსი ლეიტენანტის ჩინამდე მიაღწია. თავის ოფიცრობით ისე ყოყლოჩინობდა, იფიქრებდით, გენერალიაო. ყოველთვის გამოწკეპილი, გაპრეზანტებული ჩექმებით, ათასნაირი ჭრილობითა და თასმებით გადაჭრილ-გადმოჭრილი დადიოდა, უყვიროდა ჯარისკაცებს: მათ არ უყვარდათ და ეშინოდათ მისი. სამაგიეროდ, ქალიშვილებს მოსწონდათ. იგრეხდა წვრილ ულვაშებს, აპარხეებდა მათს წინაშე, მაშინ კი, როცა გადაჭრავდა, თავის ვაჟკაცობასა და სიმამაცეზე ტრაბახობდა. ხარკოვსა და პოლტავას შორის გამართულ პირველსავე ბრძოლაში იგი თავისი ნებით ჩაბარდა ტყვედ. საშინელებად მოეჩვენა ფრონტი და გერმანელების სამსახურში ჩადგა. მაგრამ მისი ერთგულება ახალ პატრონებთანაც ბარომეტრივით იმყოფოდა, — იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიდიოდა ფრონტის საქმე. როდესაც ათასეულში ცნობილი გახდა გერმანელთა სასტიკი დამარცხების ამბები მოსკოვის მისადგომებთან, მას ძილი გაუფრთხა: „რას გვიშამენ, რუსებმა რომ გაიმარჯვონ?“ — ჩაჩიჩინებდა იგი ბიჭებს. განსაკუთრებით თავს აბეზრებდა თავის მეთაურს შალვა ტაბიძეს, მაგრამ შალვა არც ფიქრობდა მოღალატისათვის ნუგეში მიეცა, მარტო ხელებს გაასავსავებდა ხოლმე:

— რა ვიცი, აბა რა გაოხრა, მე თვითონ არ ვიცი, საერთოდ, ალბათ ცუდად იქნება ჩვენი საქმე, — უპასუხებდა იგი.

უკანასკნელ დროს რეპრესიულ ტერორები ხმამაღლა, მთელ ბანაკში გაჰყვიროდნენ გერმანიის არმიის ახალ მიღწევებს. სიტყვებით გამოდიოდნენ ჰიტლერი, გერინგი, ჰებელსი. ქუხდა მარშები. აღტაცებული იყვნენ გერმანელები. ჰიტლერეულებს ისევ სიხარული დაუფლათ, ყველამ ისევ ხელახლა დაინახა მოახლოებული გამარჯვება.

ვალიკო ჯაყელი თავს იმშვიდებდა, რუსები ვერ გაიმარჯვებენო. გერმანელები უძლეველნი არიანო. ამით იგი თავიდან იცილებდა ღალატისთვის პასუხისმგებლობას. ყველას, ვინც გერმანელების წინააღმდეგი იყო, ვალიკო თავის პირად მტრად თვლიდა. ამიტომ, როდესაც გაბლიანმა უბრძანა მას წიკლაურს თვალყური ადევნეო, სიამოვნებით დათანხმდა და თითქმის მის აჩრდილად იქცა. თუმცა ის გაძვირფასდა ცდილობდა, უჩინმაჩინი გამხდარიყო, კაპიტანი მაინც ყველაფერ ამას კარგად ხედავდა.

— მე თვალყურს მადევნებენ, — გააფრთხილა ერთხელ ხმელიძე, — დროებით ჯგუფის ხელმძღვანელობა შენ იკისრე, უკიდურეს შემთხვევაში, დამიკავშირდები ელზას ან კაკო ბარბაქაძის საშუალებით. ზვიადაძესაც, ალბათ თვალყურს ადევნებენ.

— რა მოხდა, სიმონ? — შეწუხდა გრიგოლი.

— არ ვიცი, შევეცდები გავარკვიო. ეცადეთ ჩააბათ ჩვენს მუშაობაში შეინკლიშვილი, ოღონდ წინასწარ კარგად შეამოწმეთ.

ინჟინერი შეინკლიშვილი ასაფეთქებელი მასალების საწყობში იყო მიმაგრებული, რაც ცხადია საჭირო იყო პატრიოტებისათვის თავიანთი გეგმის განსახორციელებლად. შეინკლიშვილი მეტისმეტად პასიურად იქცეოდა, მაგრამ არც გერმანელებს ელაქუცებოდა და არც ემიგრანტებს. გრიგოლი შეჰპირდა სიმონს, მე თვითონ მოვკიდებ ხელს შეინკლიშვილის შესწავლასო. ამით ისინი დაშორდნენ.

წიკლაური ობერლენდერთან მივიდა იმ დღესვე.

— მე მინდა მარტოდ გესაუბრო, — უთხრა მან გერმანელს. ობერლენდერის კაბინეტში მშვენიერაძე, დიური და კუტჩენბახი იმყოფებოდნენ.

გერმანელმა გაკვირვებით შეხედა წიკლაურს და იქ მყოფთ მიმართა:

— გთხოვთ დაგვტოვოთ, ბატონებო.

სიმონმა შეამჩნია რა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს დიურმა და მშვენიერაძემ.

———

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ქართლი სამზარეულო

კვაწვარახი

(ზამთრისათვის შესანახი)

გადარჩეული, გარეცხილი ტყემალი ჩაყარეთ ქვაბში, დადგით ცეცხლზე და მოხარშეთ. შემდეგ გადაიტანეთ საწურზე, რომ მთლიანად დაიწრიტოს წვენისაგან. წვენი ჩაასხით ქვაბში, დადგით ცეცხლზე და კოვზის მორევით ხარშეთ, სანამ მისი რაოდენობა თავდაპირველი რაოდენობის ერთ მესამედზე არ დავა. შემდეგ გააცივეთ, ჩაასხით ბოთლებში და ჩვეულებრივი წესით შეინახეთ.

მოდუღებული ტყემალი


(ზამთრისათვის შესანახი)

გადარჩეული, გარეცხილი ერთი კილოგრამი ტყემალი ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით წყალი იმდენი, რომ დაფაროს და მოხარშეთ. შემდეგ საცერზე გადაიტანეთ, გახეხეთ, ისევ ქვაბში ჩაასხით და მორევით ხარშეთ სასურველი სისქის მიღებამდე. გამხმარი წიწაკა გემოვნებით, 4–5 კბილი ნიორი, ომბალო (Mentre pulegúm), მარილი და ერთი ჩაის კოვზი ქინძის თესლი კარგად დანაყეთ.

მოდუღებული ტყემალი ცეცხლიდან გადმოდგით, შეურიეთ გამზადებული დანაყილი მასალა და გააცივეთ. შემდეგ ჩაასხით ბოთლებში, ზემოდან ცოტა საჭმელი ზეთი დაასხით, დაუცვეთ საცობი და ჩვეულებრივი წესით შეინახეთ.

დაბეგვილი ხორცი პამიდორით

ძროხის რბილი ხორცი (ხუთასი გრამი) ბოჭკოების განივად დაჭერით ბრტყელ ნაჭრებად და კარგად დაბეგვეთ (ხის ჩაქუჩით), დააწყვეთ ცხიმიან ცხელ ტაფაზე და შეწვით ორივე მხრივ. წვის დროს მოაყარეთ მარილი. შემწვარი ხორცი ჩააწყვეთ ღრმა ტაფაში. ერთი სუფრის კოვზ ცხიმში მოხრაკეთ დაჭრილი ხახვი (ოთხი თავი), დაასხით ხორცსაკერ მანქანაში გატარებული პამიდორი (შვიდასი გრამი) და ხარშეთ შესქელებამდე. შემდეგ დაასხით ტაფაში მოთავსებულ შემწვარ ხორცს, შეურიეთ წიწაკა, მარილთან ერთად დანაყილი ნიორი, ერთი-ორჯერ წამოადუღეთ და გადმოდგით ცეცხლიდან.



პარალიული ხელოვნება

ორი კვირის წინათ ქართველმა საზოგადოებრიობამ მიწას მიაბარა საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის გამგე პროფესორი ნიკოლოზ კანდელაკი.

ნიკოლოზ კანდელაკი ახალი რეალისტური მონუმენტური ქანდაკების ფუძემდებელია საქართველოში. მან ალზარდა და დიდ შემოქმედებით ასპარეზზე გაიყვანა მოქანდაკეთა მთელი პლეადა. იყო დიდი მხატვარი და მოქალაქე, თავისი ერის კულტურისა და საუკუნოვანი ტრადიციების დაუღალავი მეხოტბე.

სიყმაწვილეში მუდამ მაოცებდა ჭუჩაში მისი გამოჩენა. მწითური გოლიათი, ლომივით ფაფარაშლილი თმით, დინჯი, მშვიდად მოაბიჯებდა ხოლმე. იგი არავის ჰგავდა. ხშირად მესმოდა, რომ იგი მხატვარია, თიხისაგან ადამიანებს ძერწავსო. გავიდა ხანი და მე მისი მოწაფე აღმოვჩნდი, ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული ქანდაკების აღორძინებას მოახმარა.

ნიკოლოზ კანდელაკის ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი დინებით მთის მდინარეს მიაგავს, რომელიც შეუპოვარია და მრისხანე. იგი გზას იკვლევს ბრძოლით, ქუხს, იტოტება, ბუნებას სიხალისესა და მშვენიერებას მატებს, მინდვრებსა და ველებს თავისი სიუხვით ასაზრდოებს და საბოლოოდ შეერთვის ზღვას ანუ მარადიულობას.

ნიკოლოზ კანდელაკმა ქართულ ქანდაკებაში პირველმა შემოიტანა მრგვალი ქანდაკების ნიშანდობლივი სპეციფიკურობა. ქანდაკება ფრიად რთული ხელოვნებაა, უმრავი პრინციპი არსებობს მისი შინაგანი არსის გასახსნელად.

სწორედ ეს პრინციპები ნიკოლოზ კანდელაკმა მთელი სისავსით გადმოგვიშალა, გაგვაგებინა, შეგვაყვარა სივრცეში ფორმის შეგრძნება და პლასტიკა, ურომლისოდაც ქანდაკება არ არსებობს. იგი ქართული ქანდაკების განვითარებაში ამ ტენდენციის გამტარებელი და ფუძემდებელი გახლდათ. რომ არ შევუდგეთ მისი ნამოღვაწარის ჩამოთვლას, მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით: მაშინ, როდესაც არც ისე კარგად ვიცოდით, რა ხდებოდა თანამედროვე მსოფლიოს მხატვრობასა თუ მუსიკაში, უშუალოდ ვუსმენდით მხოლოდ ჩვენს ხალხურ მუსიკას, შევყურებდით ხალხურ ცეკვებს და მისი ესთეტიკური სიმაღლის რანგის შეფასებაზე არც გვიფიქრია; მაგრამ, როდესაც შესაძლებლობა მოგვეცა საკუთარი თვალით გვეხილა მსოფლიოს ხალხთა ცეკვები თუ სიმღერის ხელოვნება, ჩვენს თვალში ამაღლდა უნებურად ჩვენი ხელოვნების ფასი, მისი უპირატესობა, კეთილშობილი სიდიადე გამოირკვა მაშინ, როდესაც სხვას დაუპირისპირდა, და, როცა სახელოსნოში ჩემ წინაშეა „იმერლის“ პორტრეტი, თვალს ვავლებ მას და ვეძებ შესადარს, ბურდელის „აპოლონთან“ ვჩერდები. აქ მთავარი ის კი არ არის, გადმოსცა თუ არა ბურდელმა ბერძნული მითოლოგიის ღმერთის აპოლონის სახე! მთავარი აქ არის ქანდაკების ის ურღვევი კანონი, რომელიც თვითონ იქცევა შინაარსად. ასევე ნიკოლოზ კანდელაკის ქანდაკების ძალა მის მატერიალობაშია. რითა აქვს მას ყოველივე ეს მიღწეული? შინაგანი ძალით, რომელიც ნიკოლოზ კანდელაკის ნაქანდაკარში პირველადია ყოველთვის. იგი ამას აღწევდა არაჩვეულებრივი უბრალოებით.

ათასი გენერალი გამოუქანდაკებიათ, მაგრამ მხატვრულად ჯერ არც ერთ მოქანდაკეს არ გადმოუცია იმდენი სიძლიერითა და სიმარტივით სარდლის სახე, როგორც კანდელაკმა გადმოგვცა ტოლბუხინის პორტრეტში. აქ სახეზე მიფრქვეული ფორმები მოძრავია და მკვრივი. ამ ფორმათა უამრავ რაოდენობას ერთი მთლიანი მოცულობა აქვს, რომელიც სივრცისათვის არის განკუთვნილი.

სარდლის მკერდი გაჭედილია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ეს სარდლის სიცოცხლის ისტორიაა და ეს თითქოს ქანდაკებისათვის უცხო ელემენტები ისე ოსტატურად აქვს ნაძერწი, რომ ძველ რაინდთა ბექთარივით აღიქმება მთლიანობაში და გმირულ იერს ანიჭებს ბიუსტს. ჭეშმარიტად ღრმა, მგზნებარე განცდით არის შექმნილი ეს შესანიშნავი პორტრეტი. მოქანდაკის შინაგანი ტემპერამენტი ნათლად ჩანს აკაკი ხორავას პორტრეტში, რომელშიც იგრძნობა ნებისყოფა, ენერგია. „ნატურას ყველა ხედავს, ყველა აღიქვამს მის სილამაზეს, მაგრამ როგორ უნდა გამოიძერწოს ეს სილამაზე, რა საშუალებით — ეს არის მთავარი“, — ამბობდა მხცოვანი ხელოვანი, იდგა სტუდენტთა შორის და ძერწავდა. ყველაზე დიდი მასწავლებელი მაგალითია!!

ნიკოლოზ კანდელაკმა ცხოვრების გრძელი გზა განვლო, იგი სავსე იყო წინააღმდეგობებით და ამ წინააღმდეგობებს ახალ-ახალ ქმნილებებით იგერიებდა.

ნიკოლოზ კანდელაკი ერთი და იმავე გზით ხუთი ათეული წლის მანძილზე დადიოდა დინჯი ნაბიჯით — გრიბოედოვის ქუჩაზე, სამხატვრო აკადემიაში. თბილისის ქუჩებში ველარ ვიხილავთ ამ კოლორიტულ ვაჟკაცს, მაგრამ იგი ყველასათვის მარადიული რჩება თავისი შემოქმედებით. ამით გაიმარჯვა მან სიკვდილზე.

მერაბ ბერძენიშვილი

4000 არქიტექტურული ძეგლი

გამოვიდა მორიგი ტომი საერთაშორისო წელიწდეულისა „ნაუკა ი ჩელოვეჩესტვო“ (გამომცემელი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“ და გამომცემლობა „ცოდნა“). ამ წელიწდეულში იწერება მხოლოდ ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენებზე, რაც მსოფლიო მეცნიერებაში ხდება.

აღსანიშნავია, რომ მორიგ ნომერში (განყოფილება „ადამიანი“) ფართო ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი თანამემამულის, ქართული ხელოვნების ისტორიკოსის, პროფესორ ვახტანგ ბერიძის წერილს „ძველი საქართველოს ხელოვნება“. ამ წერილით მკითხველი იგებს, რომ საქართველო განსაკუთრებით მდიდარია ძველი ხელოვნების ქმნილებებით. მის შედარებით პატარა ტერიტორიაზე აღნუსხულია დაახლოებით ოთხი ათასი არქიტექტურული ძეგლი, რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავენ დროის ძალზე დიდ მონაკვეთს — ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნიდან გასული საუკუნის პირველ ნახევრამდე. შემდეგ ავტორი მკითხველს აცნობს ხელოვნების უნიკალურ ძეგლებს — ბოლნისს, ჯვარს, წრომს, ყველაწმინდას, სვეტიცხოველს, ალავერდსა და სხვას, აგრეთვე ჭედურობის იშვიათ ნიმუშებს.

წერილი მდიდრულად არის დასურათხატებული დიდი პოლიგრაფიული ოსტატობით შესრულებული 28 მოზრდილი ფორმატის ფოტოსურათით.

დაბეჭდეს, მოგვილიან

შალვა ვარლამის ძე ფურცელაძეს,

დაბადებულს 1907 წელს ბაღდადში (ამჟამად მაიაკოვსკი), ეძებენ დედა — **ნინო**, ძმა — **პეტრე**, და — **ელენე**, შვილები — **ვალიკო, ჩათულა**, რძალი — **ციალა ფურცელაძეები**, მცხოვრებნი მაიაკოვსკში, საბჭოს ქუჩა № 8.

აკაკი დავითის ძე სალუქვაძეს,

დაბადებულს 1919 წელს მახარაძის რაიონის სოფელ აჭში, ეძებენ დედა — **ჩიტო**, და — **მირცა სალუქვაძეები**, მცხოვრებნი მახარაძის რაიონის სოფელ მერიაში.

შოთა ვლადიმერის ძე მიქაძეს,

დაბადებულს 1919 წელს აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში, ეძებენ დები — **ეთერ, ზინა მიქაძეები**, მცხოვრებნი აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში.

შალვა (ჰივიკო) ერმილეს ძე მაისურაძეს,

დაბადებულს 1920 წელს მაიაკოვსკის რაიონში, ეძებენ მამა — **ერმილე**, დედა — **მაშო**, ძმა — **აკაკი**, დები — **ანა, თამარ მაისურაძეები**, მცხოვრებნი მაიაკოვსკში.

ვაჟა ირაკლის ძე კობახიძეს,

დაბადებულს 1922 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუდა თლუღში, ეძებს მამა — **ირაკლი კობახიძე**, მცხოვრები სოფელ ზედა თლუღში.

ირაკლი (პაპური) სოსოს ძე გერძენიშვილს,

დაბადებულს 1920 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბასილეთში, ეძებს დედა — **დარიკო ლავრენტის ასული ჯაში-ბერძენიშვილი**, მცხოვრები სოფელ ბასილეთში.

არჩილ ნიკოლოზის ძე გელევანიშვილს,

დაბადებულს 1920 წელს მცხეთის რაიონის სოფელ გოროვანში, ეძებენ დები — **ელიზავეტა, ტასო, ცაცა, ლუბა**, ძმა — **ვახტანგ გედევანიშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, შაუმიანის მოედანი № 2.

გენადი იაკობის ძე შირაქაძეს,

დაბადებულს 1923 წელს ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხანალში, ეძებენ და — **თინა შირაქაძე**, დისწული — **ფერიდე ჭიპაშვილი**, მცხოვრებნი სოხუმში, შრომის ქუჩა № 9.

ვახტანგ და სულიკო ალექსანდრეს ძე ელბაქიძეებს,

დაბადებულთ 1907 და 1919 წლებში სოფელ წყნეთში, ეძებენ დედა — **მართა**, დები — **ქეთევან, ეთერ, ანეტა ელბაქიძეები**, მცხოვრებნი დაბა წყნეთში.

რუბენ გალაქტიონის ძე სხირტლაძეს,

დაბადებულს 1922 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ კვაცხუთში, ეძებენ დედა — **სევასტიანა**, მამა — **გალაქტიონი**, ძმა — **გივი სხირტლაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 11 კვარტალი, კორპუსი 33, ბინა 11.

არჩილ ალექსის ძე შუშანაშვილს,

დაბადებულს 1903 წელს სოფელ თიანეთში, ეძებენ შეუღლე — **ელენე**, შვილები — **ფატი, დარიკო**, ძმა — **ამირანი**, დები — **ევა, მართა შუშანაშვილები**, მცხოვრებნი დაბა თიანეთში.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188.